

შინაური საქმეები

აღმავალკვირული გაზეთი.

№ 7.

კვირა თებერვალი 15, 1909 წ.

ფურცელი — 4 მან.

წელიწადი — 2 1/2 მან.

ცალკე — ლირს 10 კაპეიკათ.

აღმავალი საქმეების

რედაქცია.

შინაური: ქუთაისი 15 თებერვალი (მოწინავე)—ბოსლევლისა; ქართველ ეპისკოპოსების პასუხის გებაში მიცემის გამო—კონკლავისა; წერილი გრაფ ტოლსტოის მიმართ; ფიქრნი და მოგონებანი საქართველოს ეკლესიის აწმყო და ყოფილ მდგომარეობაზე (წერილი არქიმანდრ. სერგისა); ჩვენი დროის ყალბი მხარეები—ტონკელისა; ილია ქავეცაძე—ხომელისა; აკაკი წერეთელი—მღვდ. მ. კელენჯერიძისა; ეპისკოპოსი კირიონის ტყვეობა კურიაჟის მონასტერში და მისი გამგზავრება ტომბოვის გუბერნიის სინაქსარის მონასტერში; კვირიდამ კვირობამდე;

რედაქცია უმი რჩილესად თხოვს ხ. ლ. ს. მომწერთ

წარმოადგინონ 1908 წლის ხვედრი ფასი.

აღმავალკვირული გაზეთი

„შინაურ საქმეებს“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახკოვის—შესახვევში № 17) და საებარქო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 1/2 მან. ცალკე ნომერი ლირს 10 კაპ ვაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ქუთაისი 15 თებერვალი.

აგრარულმა საკითხმა სახელმწიფო სათათბიროს უურადღება დიდხანს დაიჭირა. ჯერაც არ გადაწყვეტილა ეს საკითხი და არც ბოლო უჩანს მის ახლო ხანში გადაწყვეტას. მემარცხენი და სოციალური სხვა დუმის ჯგუფები თხოულობენ მემამულეებს, მონასტრებს და ეკლესიებს მიწები ჩამოერთვას და მუშა ხალხს გადაეცეს. ამ აზრით არიან კატაციული

დღეს განსაკუთრებით სოციალდემოკრატები და ამაში ხელავენ ხსნას იმ ეკონომიურ დაქვეითებისაგან, რომელსაც დღეს განიცდის სოფლის მუშა. თქმა არ უნდა, რომ მუშისთვის დასამუშავებელი მიწა საჭირო. ჰაერში, მიწას ხევიტ არც არაფერი დათესილა და არც არაფერი მოსულა ჯერ. ასე რომ სათათბიროს წევრებსა და კერძოდ სოციალდემოკრატებსა სასოგადოთ ვურაფერი შორს მჭვრეტელობა და სიბრძნე გამოიჩინეს ამ შემთხვევაში. მათი მსჯელობა რომ ჩვენებურათ, მდებურათ გადმოვთარგმნოთ საქმე ასე წარმოგვიდგება: რადგანაც თესლისთვის მიწა საჭირო, ამიტომ კლესს რაც მომეტებული მიწა ექნება, მით უფრო მომეტებულ მოსავალს მოიყვანს. ზირული შეხედვით ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს ტუილი ახრია. ათასი ქვეყა მიწაც რომ ჰქონდეს, ერთი მუშა იმდენს დაიმუშავებს,



რამდენიც შეუძლია, რამდენიც ღონე შესწევს. მაგ. ერთი მუშა ორი ქცევა მიწის ბეტს ვერ დაიმუშავენს წლიწადში; მაშასადამე ოჯახში რომელი მუშა სელი ვიანგარიშით, ოთხ ქცევას დაიმუშავენს; სედმეტი კი ტუილა უნდა დაწიეს დაუმუშაველად, უსარგებლოდ. მაშ რას არგებს გლეხს ბევრი მიწა, თუ მას ხელი არ მიუწვდება მის დასამუშაველად. ერთი ეს. მეორე. ცნობილია, რომ დედამიწა სივრცეს არ მატულობს, არ იზრდება, მცხოვრებთა რიცხვი კი ერთი ორად იზრდება და ამიტომ შორს არ არის ის დრო, როცა ადამიანი სულ მცირე მიწით უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც ამას ვხედავთ დღეს ბევრ სხვა და სხვა სახელმწიფოებში. ასეთი მდგომარეობა ჩვენთვისაც აუცილებელი მოსალოდნელია, თუ გადაქენების გზას არ დავადგებით. მაშინ რაღას გვარგებს დემოკრატების ახალი გლეხების მიწათმფლობელობის გაფართოების შესახებ. ნუ გეშინია, ახალ საცხოვრებელ ჰლანეტას, ან ახალ დედამიწას ვერ აღმოაჩენენ და მით უფრო ვერ გააჩენენ თავის მარქსბებელებით და ზღესანოვებით. მათი საქმეა ღარიბ კლასს შური აღუძრან მდიდარ კლასისადმი, დასთესონ მათ შორის მტრობა, აღუძრან ბრძოლის სურვილი, რომლის ბოლო მათი ფიქრით უკანასკნელების გამარჯვება და მდიდრების დამარცხება და განადგურებაა, რასაც მოჰყვება სიმდიდრე და სიამოვნება. ამ თავის მიმართულებას ბ. დემოკრატები სათათბიროშიდაც არ ფა-

რავენ და ამხიარად საბრძოლველად იწვევენ სოფლის მუშას და მეამუღესთან, რომელსაც ძალით უნდა ჩამოართვას მიწა რადგან ხეობით არ თანხმდება დათმობას.

ჩვენ წინააღმდეგეი არა ვართ გლეხების მიწათმფლობელობის გაფართოებისა კანონიერი საშუალებით და არა ძალმომრეობით, მაგრამ ამასთანავე ვამტკიცებთ, რომ ეს ვერ მისცემს გლეხს იმ ბედნიერებას, რომელსაც უქადიან, ე. ი. საგრძნობელად ვერ წასწევს წინ მის ეკონომიურ მდგომარეობას. ეს მიტომ, რომ ჩვენ მუშა ხალხს საჭირო საძეურნეო ცოდნა არა აქვს. მან არ იცის მიწის შემუშაება თანამედროვე მეცნიერების მიხედვით. იგი შორს არის იმ მიწის კულტურისაგან, რომელსაც ხმარობენ სოციალურ სახელმწიფოების მიწათმოქმედები. იგინი ნახევარი დღის მუშაობით აკეთებენ იმას, რასაც ჩვენებური მუშა სამი დღის ჯოჯოხეთური მუშაობით ვერ გააკეთებს. ამასთან მათი ნაკეთები სულ სხვაა, სულ სხვა თვისებისა და ღირსებისა, ვიდრე ამათი. სივრცით მცირე, მაგრამ ხელოვნურად უფრო განოყიებული მიწა იქ ერთი ორად იძლევა მოსავალს, და ერთი ორად ნაკლებ მუშაობას თხოულობს, ვიდრე ჩვენში, სადაც მიწა ერთი ასად მეტ სივრცეს და ერთი ათად მეტ მუშაობას თხოულობს. განგებამ რაც ჩვენ საცხოვრებელ დედამიწას მოაკლო, ის ჩვენ ჭკუა-გონებას შემატა. რაც დედა მიწას ნაკლი აქვს, იმას ადამიანი თავის

კონებით უნდა სძენდეს; ამაშია ადამიანის პროგრესი, ამაშია მიწათმოქმედის ხსნაც და საზოგადოების უსრუნველყოფაც სასმელ-საჭმელის, კუჭის მოთხოვნილებების მხრით. თორემ შესაძლებელია დავს მიწის თანასწორ დაუოფამ დაგვაკმაყოფილოს, მაგრამ ხვალ იმავე მდგომარეობაში ჩავსვებდებით, თუ უკიდურესში არა. ადამიანის დღევანდელი მისწრაფება იმაში უნდა გამოისტებოდეს რომ რაც შეიძლება მცირე მიწით და შრომით ბევრ ნაყოფს ღებულობდეს, რომ მეტი დრო დაჩხეს კონების განსავითარებლად. ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ სწავლა და სწავლა. მეტი შეგნება ხალხში, მეტი ცოდნა ბუნებისა და მისი კანონებისა და მიწა თავისთავად გაფართოვდება, სრულიად ძალდაუტანებლად განაწილდება მშრომელთა შორის. მაშინ სრულიად საჭირო აღარ იქნება სისხლი, რომელიც ასე სწეურობა, ასე ენატრება დღევანდელ ვითომდა ადამის ინტერესებისთვის მებრძოლს. თუ ვისმეს ხალხის შესჭირს, ე. ი. მშრომელ მიწის მოქმედ გლეხის უყოვამდგომარეობა აინტერესებს, უნდა ეცადოს მეტი სამეურნეო ცოდნა შეიტანოს ხალხში და თუ საჭიროა თითონ ამოუდგეს გვერდში, რომ მანუაღი თუ უნდა. აი ამ მხრითაა საჭირო პროპაგანდა, რამელიც აუცილებლად უნდა დაუწყოთ, თუ გვინდა კონომიურად დაუწინაურდეთ.

ბოსდელი.



ქართველ ეპისკოპოსების პასუხის გეგმაში მიტანის გეგმა.

„სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ეპ. კირიონს სამართალში აძლევენო, ამბობს გაზეთი „დროება“; ეპ. კირიონს აბრალებენ თურმე საქართველოს ექსარხოსის ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებასო. აგრცვლებენ ხმას მეორე ეპისკოპოსის ლეონიდის სამართალში მიტემის შესახებაცო.“ ასეთივე ამბები ჯერ კდევ გაზ. „კასპი“ მოგვიტანა და საზოგადოება დიდათ აღელვა; მის ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ეპისკოპოსი მკვლელობაში გაერიოს, შეთქმულება მოაწყოს და სისხლში ხელები იბანოს პარიზის რევოლუციონერ ტერორისტებისთვის. ასეთ შეთქმულებას ქართველი ეპისკოპოსები მაშინაც არ კადრულობდნენ, როცა სამშობლო ნამდილ სპარს-ოსმალთ მეფე-ჯალათების ხელში იყო და ნუ თუ ისე დაეცა ჩვენში სარწმუნოება, რომ ეხლა ასეთ საზოგადოებას ჩაიდენდნენო, აი როგორ სჯის ჩვენებური შეგნებული საზოგადოება და თან ექვი ებადება, ვაი თუ დასჯის მიზეზი სხვა იყოს და ექსარხოსის მკვლელობა მხოლოდ საბაბად გაიხადესო. საზოგადოების ასეთი ფიქრი გასაგები უნდა იყოს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საქმე სრულ საიდუმლოებით არის მოკული და საზოგადოებამ არა იცის რა იმაზე თუ რა საბუთით აყენებენ ასეთ შეურაცყოფას არა თუ ეპისკოპოსებს, როგორც კერძო პირებს, არამედ მთელ ეკლესიას. თუ ჩვენი ეპისკოპოსები კაცის მკვლენი არიან, ან რათ გვინდა ასეთი ეპისკოპოსები? განა მოსათმენია ასეთი ეპისკოპოსები იმ კათედრებზე, რომლებსაც ამშვენებდნენ ისე წილქელი არსენ ყალთოელი და სხვა მთავალი.

რომ მეტი მიტქმა მოთქმა არ შეიქნეს და სრულებით არ დაქრეს ის მართლმადიდებლობის ნაპერწკალი, რომელიც კიდევ ლევის სადღაც ნაკარ-ტუტაში გახვეული, საჭიროა საზოგადოებამ მალე დასამშვიდებლად გაიგოს ის საფუძვლები, რომლებიც საბუთს იძლე-

ვიან საქართველოს მღვდელმთავართა პასუხის გებაში მიცემისას.

კინკილეული.



წერილი გრაფ ტოლსტოის მიმართ.*)

გამზადებულ-იყენებით მარადის სიტყვის-მიგებად ყოვლისა, რომელი ეძიებდეს თქვენგან სიტყვასა თქვენ შორის სასოებისა მისთვის სიძვილით და შიშით. (სპეტ. III, 15).

უკვე ველაჩაფერი განმაშორებს მე. ძვირფასო ლეონ ნ. ქრისტესა, უფალსა ჩემსა და ძესა ღვთისასა: „არცა ცხოვრებამან, არცა სიკვდილმან, არცა სიმილღეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხვამან დაბადებულმან შემიძლოს ჩვენ განყენებად სიყვარულისა ღვთისასა, რომელ არს ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩვენისა“. (რომ VIII 34—40). გარნა თუ თვით განვაშორებ თავსა ჩემსა, თუ დავეცი იმ სიმილღედგან, რომელზედაც ხანდისხან აღვალ ხოლმე სულით, ან გარდამოვეყვითები ამპარტავან ახრთათვის, რაც უკვე არა ერთხელ შემემთხვა. გარნა აქაც ყოფილზე მწუხარებაში და რუღუნებაში არ დავჯარგავ სასოებასა: დავცემი და აღვსდგები, და ვიბრძოლებ, რადგან ვიცი, რომ „უფალი ახლოს არს“ და რომ „სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოების და რომელი იძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მატ. XI, 12). და უკვე ვიცი სულიერი გიმოცდილებით, რომ ეშმაკი უძღურია. რომ სასოებით და სიმდაბლით წინაშე ღვთისა ცხოველისა ჩვენ ვსძლევთ ყოველგვარ მის მანქანებს: ზვაობასა, ვნებასა ხორცთასა და ამპარტავნებასა. მე უკვე ერთი არაეარ, არამედ მე და მფარველი ჩემი, და ვიცი, რომ იგი ყოვლად სახიერია, იგი ერთია წყარო ყოვლისა სიბრძნისა, ძალითა და სიყვარულისა. სიყვარულით ჩვენ

* ეს წერილი ვკუთვნის გრაფ ტოლსტოის მოძღვრების აღმსარებელ სტუდენტის კალამს და მოთავსებულია ჟურნალ „Студент-христианин“ ში, ყველა უნივერსიტეტების სტუდენტების სარწმუნოებრივ ფილოსოფიურ ორგანოში, 1908 წ. №—3. ჩვენ ვღებულობთ ჟურნალ „Христиан“, იდგან.

შეგვიძლია დაუუახლოვდეთ ღმერთს და ცხოველი ღვთის რწმენით შევიყვაროთ მოყვასი. წმ ღორთაყ ამბობს, რომ ღმერთი კენტროა (წრის შუაგული), და აღმიანები, მავალნი მისკენ რადიუსებით (იმ ხაზებით რომელნიც აერთებენ კენტროს წრესთან), უახლოვდებიან ერთმანეთს და მასთან ღმერთს, ხოლო ლტოლვილნი ღვთისგან იმავე რადიუსებით შორდებიან ერთმანეთს და მასაც. მე ვსცანი, რომ ჩვენ თავით თვისით, გონების საშვალებით არ შეგვიძლია გავხდეთ ქველმოქმედნი, მშვიდნი, მოწყალენი, მტერთა მოყვარენი, თავგანწირულნი. თავის-თავად, ჩვენ უმეტეს მიდრეკილი ვართ ბიწიერებისადმი, ცოდვისადმი და დღე-ყოველ განვიცდებით ეშმაკისაგან ვნებითა, გულის წყრომითა, ანგარებითა, სასოწარკვეთილებითა. ძალიან რომ გავადიდოთ, თავის-თავად შეგვიძლია, მხოლოდ არ გავხდეთ ავაზაკები, მაგრამ ესეც მიტომ, რომ არის ღმერთი, და, თუ ჩვენ არ გვინდა გავხდეთ ავაზაკები, ღმერთიც არ ინებებს ამას. გარნა სათნოების შეძენა, წმიდანად გახდომა სრულად შეუძლებელია ღვთის დაუხმარებლად, ლოცვისა, შრომისა და მწუხარების გარეშე. სიწმიდე კი მხოლოდ ერთად ერთი ღირსეული მიზანია ადამიანისა და ყველანი იმისთვისა ვართ მოწოდებულნი, რადგან ნათქვამია: „იყვნენით წმიდა, ვითარცა მე წმიდა-ვარო“ (I პეტ. I, 16). თუ ჩვენ ვერ ვხვდავთ ქვეყანაზე წმიდანებს, ეს პირველად მისი ბრალია, რომ „ქვეყანა ბოროტებასა შინა სძევს“, თუმცა თავის-თავად ბოროტებას არ წარმოადგენს, როგორც მოხდენილად სთქვა არ. ახელინმა, მეორედ მისი, რომ ასეთია თვისება სიწმიდისა: იგი გამობრწყინდება უმეტეს ნაწილად უმღვრ სიკვდილისა, ანუ წმიდის ქვეყნიერ ცხოვრების უკანასკნელ დღეებში. უკვე თვით განხორციელებული წმიდა ღმერთი ვერ განიცადა (ვერ იცნო) ქვეყანამან, როგორღა შეუძლია განიცადოს მოადანი მოღვაწეების დამდებისა? წმიდანი დღეებისა კაცთა არ ეძიებენ, არამედ მხოლოდ ღვთისაგან: ხოლო კაცთაგან დიდებასა გაურბიან, თუმცა ხანდისხან ვერ ემაღებიან მას, რადგან „არ ძალუძს დამალვად ქალაქსა, დაშენებულ-

სა მთასა ზედა (მტ. V 14). თქვენ თითონ იფიქრეთ, საყვარლო ლეონ, აურაცხელმა წმიდა ადამიანებმა: პირველი საუკუნის მოწამეებმა, ღირსმა მამებმა, მოღვაწეებმა, განდევნილებმა, ქრისტეს მიერ სალოსებმა—ჩააწყვეს თავის ძელები მიწაში, უკვე დაამოწმეს ქრისტიანობა ერთი სარწმუნოებისა, არსება და ძალი და ღირსება ერთისა ღვთისა ცხოველისა, სიღიადე და შესაძლებლობა ქრისტეს მობაძვეყოფისა ცხოვრებაში: ნუ თუ ამ ქრისტეს მხედრების ლეგიონებმა თავის სიცოცხლე სხვერპლად შესწირეს შეცდომას? ნუ თუ იმათ პირი შეთქვეს მიუხედავად იმისა, რომ სცხოვრობდნენ სხვა-და-სხვა საუკუნეებში, სხვა-და-სხვა ადგილზე და ხშირად ვერც კი იცნობდნენ ერთმანეთს? ნუ თუ შესაძლებელია, რომ ადამიანმა მისცეს თავის სხეული საფხეკად, სახერხად, დასაწველად, იცხოვროს უღაბოში, როგორც ღიღმა ანტონიმ, მაკარი ეგვიპტელმა, სიმონ მესვეტემ, ბნელ უღელტეხილებში, როგორც საბა განწმედილმა, იკვებოს რამოდენიმე ათი წლის განმავლობაში ბალახით და ფესვებითა. განა შესაძლებელია მხოლოდ ოცნების სახელით ისეთი შრომა, როგორც ვასილი დიდის, გრიგორი ღვთის მეტყველისა და ოქროს პირის იონესის, არას ვამბობ უკვე დიდებულ და უმშვენიერეს პავლეზე, 12 და 70 მოციქულებზე?—განა თქვენ არ იცით, რომ ოცნება საუკუნოებით არ ცხოვრობს, არამედ მალე იფანტება (მაგ. ჩვენი ტერრორიზმი, რომელსაც ვესასიებოდით, უკვე განკიცხულია ცხოვრების მიმდინარეობით). განა შესაძლებელია ასეთი ერთ აზროვნება ადამიანებისა საუკუნოების განმავლობაში, დაწყებული ნოესაგან, დავითისაგან, სოლომონისაგან, წინასწარმეტყველთაგან, ვიდრე ქრისტიანობის ხანაში გამოჩინებულის სიწმიდის განცხადებამდე? რა შეედრება ამ ერთ აზროვნებას და ეს ერთ აზროვნება შესაძლებელია ქრისტიანობაში და თვით არის ერთი ქრისტიანობის სარწმუნოება. თუ გნებავთ ამას „მართლმადიდებლობა“ უწოდეთ, — უწოდეთ, ეს ცუდი წოდება არ არის; თუ „მართლმორწმუნოება“, — ესეც კარგია; „თუ ერთი ქრისტიანობის სარწმუნოება“, — ეს სულ ზედგამოჭრილი სახელია. და აი ეს სარწმუნოება, რომელიც იწყება ერთი ცხოველი ღვთის, მისგან გამოშვალ სულიწმიდის და მისგან შობილის მის რწმენით, იპყრობს ისეთი ქრისტიანობათა, რომელნიც უმედგრესი არიან კლდისა და უმედგრესი ყოველი კაცობრივი კლდისა, რადგან ეს უკანასკნელი

ლი დამოკიდებითია: რა უნდა იყოს უმედგრესი მათემატიკურ ქრისტიანობებზე, მაგრამ ისინიც კი დამოკიდებითი არიან, რადგან შეეხებიან სივრცეს, რომელიც, როგორც გვიჩვენებია კანტმა და როგორც თვით ცხადყოფს თავისთვის შორწმუნისათვის, იდეალურია და ფორმალა ჩვენი ჭკუისა. მე კანტი არ მიკითხავს, ნუ იქონიებთ ცრუ წარმოდგენას ჩემ ნაკითხობაზე, რომელიც ძრიელ ღირსია. მაგრამ ეს ქრისტიანობა, წარმოდგინეთ, გამოვარკვეე ჩემში ჯერ კიდევ სტუდენტობაში. თუ ცხოველი ღმერთი არ იცანი, სარწმუნოების სხვა ქრისტიანობებსაც ვერ გაიცნობ, ხოლო თუ იცნობ ღმერთს, გაიცნობ შეიგნებ ამათაც. თქვენ მხოლოდ იფიქრეთ, ლეონ, აი თქვენ მოდიო ამ ქვეყნად, ვინ იცის სიღვან და ემზადებით უკვე განსასვლელად (თუმცა შესაძლებელია, მე თქვენზე უფრო ადრე განვიდე, განვიდა ხომ მ. ნ. შარაპოვი) სად? რასთვის იყავით თქვენ აქ? ეს ან დაცინვაა, ან საიდუმლოება, ან არის სახლის უფროსი, კეკეცე? და განა შეუძლია ქოთანს ჰკითხოს მეკეცეს, რათ გამაკეთე ასეთიო? სხვაფერია: თავზაოი, ან ამბობება.

❖ ❖ ❖ ❖ ❖

**ფიქრნი და მოგონებანი საქართველოს
ეკლესიის აფხაზ და ყოფილ მღვდონ-
რამობაზე.**

(საქართველოში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბების გამო).
(წერილი არქიმანდრ. სერგისა)
(გაგრძელება.*)

ქრისტიანობა ქრისტესი ერთია თავის პრინციპიალური საფუძვლით; ვარნა სხვა და სხვა ხალხი ღებულობს მას სხვა და სხვა წიარად, თავის განსაკუთრებულ თვისებისა და ეროვნულ ტემპერამენტის მიხედვით და ისტორიულად ახორციელებს მას თავის ზნე-ჩვეულებებში, რომლებიც რამოდენიმედ განსხვავდებიან სხვა ხალხების ასეთავე ზნე-ჩვეულებისაგან. ამ შემთხვევაში, შეიძლება, რამე გავლენა ჰქონდეს პირველ მქალაგებლის და ქრისტიანულ ცხოვ-

იხ. „შინ. საქ.“ № 4.)

რების დამწერგავის პიროვნებას. რუსის ხალხმა ქრისტიანობა მიიღო მოციქულთა სწორის ვლადიმერისაგან; ამას ხანგრძლივი და ძნელი სინანულის მოღვაწეობა უნდა ეტვირთნა, რომ მკაცრი და ზნე-დაცემული წარმართისაგან გადაქვეულიყო ქრისტიანულ სიწმიდისა და სიკეთის ქურქულად; ამიტომ რუსმა მიიღო იგი (ქრისტიანობა) განსაკუთრებით ასკეტიური მხრით და თავის ისტორიულ არსებობაში განავითარა უმოაგრეს ნაწილად მონასტრული კულტურა. რაც ცხადად სწანს ჩვენ ეკლესიურ ხელოვნებაში.

სხვა ხელოვნებათა შორის მუსიკას უფრო შესწევს ღონე გამოხატოს საიდუმლოებით მოცული არსება საგნებისა, ვადმოგვცეს ის უღმერთო გრძნობათა და განწყობილებათა მოძრაობა, რომლებიც ადამიანურ ფერადებით ღარიბ ენაზე არ გამოითქმის. ამიტომ ხალხის ფსიხოლოგიის (სულიერ მდგომარეობის) შესწავლის საქმეში მუსიკა საპატივო დამხმარებელი საგანია. და ამ შემთხვევაში ძველი საეკლესიო საგალობლების საზოგადო კილოს და ხასიათს, რომლებიც წარმოადგენენ უსაშუალო ხალხის ქმნილებას, შეუძლიათ გამოგვიჩვენონ დაწვლილეთა თვისებანი და განსხვავებანი ხალხის კეთილწესიერებისა.

მკაცრი სული სინანულისა და ღრმა მწუხარებისა ცოდვებისათვის, როგორც ძირითადი კილო, ეღერს ძველ რუსულ ეკლესიურ გალობებში და ამით ცხად ჰყოფს რუსის ხალხისაგან ქრისტიანობის მკაცრ ასკეტიურ შეგნებას.

ქართველმა ხალხმა, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა უბიწო და მშვენიერ ქალწულისაგან, შეითვისა იგი უმეტესად მისი ღმობიერების მხრით და აღბეჭდა ეს თავის პირველი და უსაშუალო შთაბეჭდილება თავის ძველ კილოებში, რომლებშიც დღემდის სრულ შეუხებლად არის დაცული. რამდენი ალტაცებული სიხარული, რავდენი ღმობიერება ეღერს ამ ძველ ეკლესიურ კილოებში, განსაკუთრებით მათში, რომლებიც მიმართულნი არიან ღვთისმშობლისადმი. ცხადია, ის მოსაზრება, რომ საქართველო შეადგენს ღვთისმშობლის

წილხდომილ მხარეს, ოდესღაც მიღებული იყო არა როგორც ზღაპრული თქმულება, არამედ როგორც ნამდვილ მომხდარი ამბავი.

მაგრამ დრონი იცვალნენ. ქართველმა ხალხმა, რომელმაც ქრისტიანობის ღამზარი ატარა მრავალ შემადრუწუნებელ ტანჯვით სავსე საუკუნეთა განმავლობაში, ვერ შეინახა ის მაღალი სარწმუნოებრივი აღფრთოვანება, რომლითაც განირჩეოდა წინეთ. მხოლოდ ყოველგან გაფანტული დიდებულ ტაძართა და მონასტერთა ნაშინი უხმოდ მოწმობენ, თუ რამდენად მაღლა იდგა ოდესღაც საქართველოში ქრისტიანული კულტურა, როგორი მაღალი ენტუზიაზმით იყო აღზნებული მისი შეიღების გული.

დაე, ხშირად მიაპყრან თვალნი საქართველოს ეკლესიის თანამედროვე მოქმედებმა ამ დიდებულ წარსულს და მისგან მოიღონ ძალა თავის მოქმედებისათვის! მაგრამ ეს წარსული, რომელიც შეადგენს მათ აღფრთოვანების წყაროს, მოვალედ ხდის მათ საქართველოს ეკლესიის მომავალ ბედ-იღბალში. ამიტომ როცა მსჯელობენ ეკლესიის ავტოკეფალობაზე და საეკლესიო წესწყობილების რეფორმებზე, უნდა ეშინოდეთ, რომ როგორმე ამ რეფორმებმა, ძველ ივერიის ეკლესიას დიდების მაგიერ, უმეტესი ვნება არ მოუტანონ მას, ვიდრე სპარსელებმა და ოსმალებმა.

ამ წერილის შემდეგ მამა სერგიმ შემდეგი წერილი მოათავსა გაზ. „ზაკ. ობოზრ.“

ბ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენ გამოცემაში ქვემო მოყვანილი ჩემი განცხადება. „Црк. Вѣд.“ მე 45 ნომერში დასტამბული იყო რამოდენიმე თვის წინეთ ჩემ მიერ დაწერილი სტატია „ფიქრნი საქართველოს ეკლესიის ყოფილ და აწმყო მდგომარეობაზე“. ეს სტატია როგორც გავიგე, მაშინვე გადაებეჭდა და რიგიანად გამოეყენებია კიდევ თბილისის პატრიოტულ საზოგადოების „მატიანეს“

ამიტომ ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხ, მიუხედავად იმისა თუ ვინ ან როგორ შეხედავს ამას, აღვიარო, რომ ეს სტატია დაიწერა სხვა და სხვა გარემოებათა და ძალდატანე-

ბიო, რომელთა ზედაც ლაპარაკი უადგილოა გაზეთში, და ამიტომ არა გულწრფელია. მის საზოგადო შინაარსს შე სრულიად უარს ვყოფ და თავით მის დაწერის ფაქტს ჩემი ცხოვრების ისტორიის ერთ ბნელ გვერდად. ენდეთ ჩემს თქვენდამი გულწრფელი პატივისცემას. ყოფილი ინსპექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა მღვდელ მონაზონა სერვა.



გვგონი ღარიბ ქალბი მხარეები.

ყველას გვეგონა, რომ ქვეყანა გადაკეთდა, კაცობრიობა გაღიჯდა, კულაობას და ბალღურ შექცევებს მხარი უქცია, მშრომელ ხალხს მხარი მოსცა და ცხოვრება შეუმსუბუქა, სანთელივით წინ გაუძღვა და ბნელი გზა გაუნათა. გვეგონა, რომ ახალმა სიომ დაჰპერა ჩვენ საცოდავ სამშობლოსაც და მოაცილა ზნეობრივი და გონებრივი სიბნელე, სიყალბე. გვეგონა, მაგრამ მოვტყუვდი! ქვეყანა იგივე დარჩა, ერთი იოტის ოდენი არაფერი მოუშინა, ერთი მკორე ბიჯიც არ წაუღვამს იმ მშობა-ერთობისაკენ, რომელსაც ამ ორი წლის წინეთ ეთაყვანებოდა ყველა: ერთი და ბერი, გლეხი და აზნაური, დიდი და პატარა ქალი და კაცი. საწყალ გლეხობას მხოლოდ ქამის მადა გაუღვიძეს, ლუკმა კი კამოსტაცეს და თითონ გადასანსლეს. ეგრეთწოდებულ ნასწავლი (თუ მონასწავლო) საზოგადოება დასცილდა ხალხს და შეუდგა თავის ზვეულე ბრივ საქმეებს: კარტი, ლოტო, ბალი, ვეჭერი, თეატრი, ტანკო, მოდა ჩაცმაში, მოდა დახურვაში, მოდა „პრიოსკაში“ მოდა უღვამების დაწენი-დაფრებაში. ასე გასანდჯეთ პროზებიც კი ეძლევა ვინც კი დაეარტბნილ თმას უჩვენებს საზოგადოებას, ან ორიგინალურად დაფრებულ უღვაშს. აფსუსს ბაღბის ფულს! ხად გაქტრა მარქაი თავის ძღვევამობალი კამბატალით ვილას აბსოვს პროლეტარიატი? უოველივე ესე იქმნა სიზმარ და აბდილი და ცვარი განთიადისა.

ქალებს დაავიწყდათ თავის მასწავლება და მის მაგიერ რამ წინ წამოაყენონ თავის დეობს

ხატება, წინანდებურად ითხუბნებიან იღვსებთან, ირთვებიან ათასნაირ ზიპლიპიტობით მხოლოდ მისთვის, რომ თავი მოიწონონ და რაც შეიძლება მეტი თაყვანისმცემელი იშოვნონ, მეტი გული დაატყვევონ და დაამონაონ, არაფითარი ზომიერება მოთხოვნილებაში, არაფითარი წინსვლა ზნეობა გონებრივ განვითარებაში მათ არ დასტყობიათ. წინააღმდეგ, მოძრაობისგან შეგუბებული მათი ზვეულებრივი ცხოვრება ვეგებრთელა მდინარედ გაღმოსკდა და თან გაიტაცა ყოველი. გაქტრა მათში ხალისი და მიზიდულება საზოგადო საქმისაკენ. ქალი შეიქმნა იგივე ყოფილი ვგოისტი, იგი წინანდებურად მზადაა თავის სურვილებს ანაცვალოს მთელი ერთი ისევე გულმა დაიპურო მისი გონება. ერთ გამოსვლაში ქვეყანას გაყოლის, ოღონდ თავი დაიკმაყოფილოს და ქვეყნის საქმეს არ დაგიღვეს.

ამიღბილებული ახალგაზდობაც განვლდა და გაერია ზვეულებრივ საქმეებში—კავალრობაში მარქს-ენგელს-კაუტსკი აღარ აინტერესებს მას. კაი ხანია უკანასკნელები წიგნაკები აღარ ჩამოდებულან თაროდგან; იმათაც დაუღდათ დიდი მარხვა და მგონი ამ მოსვენებაში საუკუნოდაც დაიძინონ.

განდენ ძველი მოქციფე მამბიკები, რომლებსაც თანამედროვე კულტურამ „ლიაბო ბიკები“ უწოდა...

მოხუცული.



ილია ჭავჭავაძე,

ბოგორც ღარიბკახა—პოეტი.

(27 დეიბი, 1897—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა ვინც კარის საქმით აღნიშნავს თავის ღობას, ის იხვე ქვაფეხა უაფავეების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

(კარიბულება)

მაყვადებულად, ამ ხატეუბით ადამ სრულად სოციალიზმს აღიარა, მეტად ეს სოციალიზმს სენ-სე-სენ, სექ. 28

სიმონისა და ლუი-ბლანის სოციალიზმის, რომელიც უარს ეთყობა გზატკეცილებს წესწობილებს, მაგრამ კლასთა ბრძოლას მიახლოებს არა სტრუქტურაში, რომელიც ჭკუჭკაძეს არ ქონდა გათვალისწინებული და შეგნებული კლასთა ბრძოლის თეორია და პრაქტიკის ისტორიული როლიც არა სწამდა, ეს აქიდან ჩანს, რომ თვის შესახებ მისი „ოთხნობიანი ქრონიკა“ მან ხმამაღლა აღიარა, რომ თავდაზნაურობა და გლეხთა შორის სიდიადო ჩატეხილი. ეს დიდი გაუგებრობა და შეცდომა აქვს ჩვენს ზოგადს აქ გამოთქმული. ეს გაუგებრობა მთელი თვისი ტრაგიკული განმეორდა ჩვენში, ნამეტურ ქართლში ამასწინათ, კერძოდ უფრო, განმთავისუფლებელ მოძრაობის დროს. და ეს შეცდომა ჩვენს სახელგანთ ზოგადს იმეორებ მოუვიდა, რომ ვერ ამჩნევდა ახალი დროის დიდ მნიშვნელოვან ამბავს — კლასთა ბრძოლას.

ახალი დროის კითხვებში წოდებანი ჩვენშიაღ უფრო მოსწონ და თავადიც, ახსნაურიც და გლეხიც შეიქცა ერთს დიდს ბანაკში. ახალი დროის ბატონი ფულია — ნიუთონობა, რომელიც გამხდარა თანამედროვე კაცობრიობის კერში, რომლის წინაშე მუხლს იდრეკს ძველი ნაშინაუმიც და ნაბატონობაც, ურძიც და მოხუციც, დიდი და მამაციც. ამ კერში დაიძროხილა უკვლავური დედამიწაზე, თვით შეცნობებაც ვი. მან დაისაკუთრა შრომის უკვლავი იარაღი და ახლის ცხოვრებით აღბეჭდა შრომის მდგომარეობაც...

ამ მდგომარეობამ ასტეხა დღეს კლასთა შორის დიდი ბრძოლა კერძობაში და უნდა ასტეხოს ჩვენშიაც...

თუმცა ილია ჭავჭავაძეს ეს ახალი დროის ამბავი არ ქონდა ნათლად გარკვეული, მაგრამ დაზნაურული კაცობრიობის მდგომარეობა ჩვენს ზოგადს უკვლავის აფიქრებდა, კე ფიქრი მას „ჭირში და ღებინში წინ მიუძღოდა“, და ამიტომაც დასწერა ლექსი „ზარბი“, სადაც 1871 წ. კომუნის ბრძოლა, „შრომის ახლისთვის“ ატეხილი „ქვეყნისა მხარეზე ძალამ დასცა დაბლა და

გულზე შეფერხდა ისტორია,
 განახლების შესდგენს ძაღნი
 და კვლავ დღესასწაულად
 გამარჯვებულნი მტარვალნი.“
 მშრომელი ხალხის უზომო სიყვარული და

მისი სამსახური მიზნად აქვს გატარებული ილიას „ზოგადი“, რომელიც დაწერა 1860 წ. ამ ლექსის დაწერის ერთი წლის წინათ უფროსად „СОВРЕМЕННОСТЬ“-ში დაისტამბა ნ. დობროლიუბოვის კრებული განხილვა რუსეთის ლიტერატურისა (ეს სტატია მოთავსებულია დობროლიუბოვის თხზულებათა I ტომში), სადაც კრიტიკოსი ზუშკინის ზოგადის ხალხისთვის არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს, რადგანაც, იმის აზრით, ზუშკინი ყრინკელივით უსაგნოთ ძღერისო და ხალხის ტანჯვით არ ეწეოს გულიო. უკვლეო, ამ სტატიის გაკვინის ქვეშ ილიამ დაწერა „ზოგადი“, რომელიც „მარტო ტეხილ ხმებისთვის არ გამოუგზავნია ქვეყნად ცა“.

დიდის დურთის საკურთხეველის
 მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
 რომ ხალხისა მოძმედ ვიყო
 ჭმუნვასა და სიხარულში;
 ხალხის წყლული მიხნდას წყლულად,
 შეწოდეს მის ტანჯვით სული,
 მის ბედით და უბედობით
 დამედგოს მტეხილ გულიო...
 როცა „ქართველთა ამხანაგობამ“ ილია ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემა დაიწყო, ზოგადს გადათვალა ერთი ლექსები და ზოგან სიტყვები შეცვალა. „ზოგადი“ მან ამოძალა სიტყვა „ხალხი“ და მის მაგიერ დაწერა „კერი“...

შეცდომა ზოგადის ამ ჩინებულ ლექსში ის არის, რომ იგი რომინტიკოსი ზოგადსაერთო თვის თავს „ზეციერს“ უწოდებს, რომელიც დაუნაშავს ცას, რომ ხალხს წინ წარუძღვას. ეს შემცდარა აზრი ზოგადსაერთო დარღვეულია არა თუ დღეს, დარღვეული იყო იმ დროსაც, როცა დაწერა ილიას „ზოგადი“ და, საკვირველია, ასეთი შეცდომა იმ ახალი, ჩვენი დროის ზოგადისგან, რომელიც თვის სიტყვას დიდის ახგარიშით და დაფიქრების შემდეგ იტყუდა ხოლმე.

მეორე დიდი საგანი, რომელიც თავს დატრიალებს ილია ჭავჭავაძე თვისი ლექსებით, ზეკითაც იყო მოხსენებული, არის მშობელი კრის პოლიტიკური გათავისუფლება. ამ დიდს საგანს მოუშვადა ნადაგი გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა იმით, რომ ამ ხანებში მოხდა პოლიტიკური გათავისუფლება იტალიისა და ამავე საგნისთვის

აკანყდა ადამ მინტეპეის გარეუღრუბული მამული — პოლონეთი. თუმა პოლონეთი სამინლად დამარცხდა, მაგრამ ამ გარემოებაში ოდნავად ვერ გახსნულა სომეხების წლების დაბრუნებას ენგუზიანობა და გატანება. ისინი აღუზნდენ ხლად ფეს-ადგმულს ცხოვრებას ბრწისიკლე ღამზრად და აღტარებულს შიმის და სავალბულს უმღენადენ ქართულთა მამულას გათავისუფლების საქმეს.

მთელი ევროპის დასავლეთის მწერლობა, ცხოვრება და თვით დიპლომატიაც კი მხნეთ გამოკისარლად მშეკნიერ იტალიის დანაგრულა ერის ბრძოლას და ეროვნების გათავისუფლების დადი პრინციპი საქვენიოდ წინ წამოაყენა. ამ დროს იყო, რომ იტალიის გენიოსური კრი გმირულად ებრძოდა ავსტრიის დესპოტიას გათავისუფლებისთვის და ამ საარაკო, შესანიშნავის ბრძოლისთვის მთელი კაცობრიობის სიმპტია სამართლიანად დაიმსახურა მან. რა თქმა უნდა, ასეთს დიდს ისტორიულს ამბავს ისეთს ნიჭიერს ჭაბუკი, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო, დადი ზედ-მოქმედება უნდა მოესდინა. მართლად 60-იან წლებზე უფრო ადრე ქართულს ღირსებად ისმოდა საქრო ჭახვა, ნაციონალური მოტივი, რისთვისაც ამ დროის ახალგაზდობამ ფრთებიც შეიკრუსა. მაგრამ იმ დროის ახალ-გაზდობას სურდა აღედგინა საქართველო ძველებური, სწორედ ისეთი, როგორც სამუხადა საუკუნეებში იყო. ილიას კი უნდოდა ენახა საქართველო გათავისუფლებული, კონსტიტუციონალური 4). და ამისა მთელი განსაკუთრება ძველი თაობის ქართულ ღირსების და ილიას და იმის ამხანაგთა ღირსებისა.

პოლიტიკაში კონსტიტუციონალიზმის აღიარება ისეთივე დემოკრატიული პრინციპი იყო, როგორც უმეტეს გათავისუფლების სოციალური რეფორმის იყო დემოკრატიული მიმართულების პრინციპი. აი, ამ ორი დადი პრინციპის მსურველ მთსამსახურე იყო ჩუენი ახალ-გაზდა დაბრუნდა ილია,

4) დიდათ შემცდარი ბ. ი. ჯაბადარი, რომელიც ერთს თვის რუსულ სტატიაში, სრულიად უსაბუთოდ ბრალს სდებს 60-იან წლების ქართველ მოღვაწეებს (უფრო ნიკო ნიკოლაძეს), რომ იმათ სურდა აღედგინა ძველი, საშუალო საუკუნეების საქართველო. ეს შეიძლება ითქვას ძველ, გრიგოლ ორბელიანის თაობაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გამორიცხვით, რასაკვირველია.

რომლის პირველი ნიმუშები უკვე კუხუხუთ ზეკით წერილებში.

ილია ჭავჭავაძემ პირველადვე (პოეტმა „წინდადი“) საქართველოში გაბედვით აღიარა ეს დადი პრინციპი

„... რომ ქვეყნად ცასო
დ ვ თ ა დ მოუცია მარტო მამული...“ 5)

და იმას უნდა შესწიროს თვისი ნიჭებულობა.

რაკი პოეტმა მამული დემრთად აღიარა, მთელ ქართლოსიანთა ერში იგი ეძიებს ვაშკაცს, „იმ სხნეტარო გმირს“, რომელსაც ღირსებას „მამული-სათვის თავის დადება“, მაგრამ ვერ პოულობს და გამწარბით მთა-ბარს შებღავის:

„მაგრამ, ქართველნო, სდა არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის კსტირი?
იგი აღარ გვეყვს... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, კერანად ქმნილა.
გმირის დამადა დიდა სავანი
თქვენში სპობილა და წაწმედილა.
გადასდგომისათ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევათ დიდა მამული,—
რადა დაჭბადავს თქვენში დიდს გრძობას?
რითი აღტკინდავს ქველავისთვის გული?...“

პოეტი უკვირდება „უცხოეს კალთას ქვეშ“ შეფარებულს მთლად საქართველოს და ეოკვლან მის არე-მარეზე სედავს „უძღურებას“ და არარაობას, ნაცლად წარსულის ძღვირებისა. პოეტის „წინდადი“ გადააკვებს შეწუხებულს თვალს თვის სამოთხე საქართველოს, მის შეენიერს ტუე და

მართალია, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ ბარათაშვილის იდეალი იყო კონსტიტუციონალური საქართველო, მაგრამ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იგი შეტრფოდა („საფლავი მეფის ირაკლისა“) ახალს საქართველოს, რომელსაც ისტორიამ უჩვენა სრულიად ახალი გზა...

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოკალაქის მართავს აწ ხელი...“

გრიგოლ ორბელიანს გადუღებოდა და ახალს, ილიას თაობის ამოუღებოდა გვერდს. ეს ჩემთვის ყოველს ექვს გარეშეა.

5) ილია ყოველგან თვის ლექსებში საქართველოს მამულს ეძახის და არა სამშობლოს.

კვლს, მთა და ბაზს, მწუსარე თერგს და...
არაკვსაც... არაკვს იგი ეკითხება:

„... რას ეკებდი მე? ჩემ ქვეყნის წასსულს,
შენ წინ დაღუპულ ჩემს ძეგლსა მამულს,—
და მართა სისხლი ჩემს თვალს დაღაღულს
ამღეკდა ხოლმე გულ-საკლავ მასუსს...“

ხომლედი.

(შემდეგი იქნება.)



აკაკი წერეთელი

როგორც მგოსანი მამულიშვილი.

(გაგრძელება *)

რა დამოკიდებულება უნდა იყოს მათ შო-
რის, აკაკის აზრით? როგორ უნდა უცქერდეს
პირველი მეორეს? როგორდა პატიოსანი ლა-
რიბი მაინც თავის სიღარიბე-სიპატიოსნით უნ-
და ამაყობდეს—ბედნიერებდეს და უპატიოსნო
მდიდარი კი ებრალებოდეს, როგორც დაცე-
მული კაცი. მართლაც აი რა შეუბრალებლად
ეკიდება აკაკის პატიოსანი ღარიბი „უპატიოს-
ნო მდიდარს“:

— გინდ მშიოდეს, გინდ მწყუროდეს,
დავდიოდე ტიტლიკანა,
არ ვინატრებ შენს ქონებას,
არ მსურს ვიყო შენისთანა!

კარგად ვხედავ, შელახილო
გრძნობითა და გონებითა,
რომ ყიდულომ თაღლით გრძნობას
ძალითა და ქონებითა!
შენთვის არ სცემს არა ვისი
ქეშმარიტად გული წმინდა!..
არა! არა! მაგ შენს ცრუ ბედს
არ შეენატრი! არად მინდა!

ამ საზიზღარ ჯგუფს ჩვენი მგოსანი აკუ-
თვნებს იმ პირებს,

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 5.

— ვინც რომ მშრომელს და ტვირთ
მძიმეს

ხელ-მოსაწყობ ნივთად სთვლიან,
იმათ ნაშრომს, ოფლით ნაშოვნს
გასთვლიან და გამოსთვლიან.

აკაკის გული ვერ ითმენს ასეთს უსამარ-
თლობას. თავის „ჩონგურიც“ ხომ იმისთვის
მოაწყო მან, რომ „ღანაგრულის თვალზე ცრე-
მლი შეუშროს“ „და შიგვრელს-კი გულში
ძგერით ისარივით ესობოდეს“!

იგი მუხლ მოდრეკილი „ვევედრება“ ყვე-
ლას „ძმობას აფიცებს“,

— კაცი რომ ნახო შენ დაცემული-ო,
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ!

შენი ვალია, შეგტყვიდეს გული-ო!

მაგრამ ისიც კიაო, რომ თუ „დამცემს
პირუტყვულად“ დაემონება და ბრძოლას აღარ
აპირებს, იგი აყენების ღირსი არაა და ხმას ნუ
გაცემო!

როგორც ხედავთ, აკაკი სავსებით თანა-
მედროვე მოაზრეა და ღრობის შვილი, ნათლად,
მკაფიოდ და უშიშრად გამომხატველი მისი ჭირ-
ვარამისა და მებრძოლი ბოროტებასთან, რო-
მელსაც უსამართლობა ჰქვია.

მეორე მოტივი, რომელიც წითელი ძაფით
არის გავლილი აკაკის ლირიკაში, განხილვით
ჩვენ — ქართველების უთავბოლოება, უყაირათო-
ბა, უმომქინეობა, ცხოვრების არკოდნა, ფლან-
გვა ქონებისა და ამისაგან წარმოშობილი დაუ-
ღვევრობა, ზარმაცობა და კოტრობა.

დასასაათება ქართველის ამ მხრით.

როდის კამს ცოტას?

თუ სუნი მოჰკრა სახრავს? ნერწყვი და
პირის წლაკუნა აუტყდება.

ნამეტურ დიდ-კაცობა.

ის წლიდამ-წლამდე მხოლოდ კუჭს ემსა-
ხურება, ჯერ ღორის ქონით გაძლება, მერე
ღვინით ჩაფერავს და იქვე გაგორდება, თუ შუ-
ცელზე გაბერავს. ვახშობამდის იხვრინებს,
მრავალკვარად ცხვირს ასტვენს, ვახშად-კი ნა-
კლებსა სკამს: ხუთ გირვანქას-რას აწყენს!? დი-
ლას გაფა, სვირნობს, ტორტმანით აღვაშს ბიჯ-

სა და მოქედლილი ხმალი უკან მიაქვს მის ბიჭსა.

ახლა კნეინება?!
—წიგნი სძლთ, ოჯახობის მათ არა რა გაეგებათ,

გულზე ხელის დაკრეფა მიაჩნიათ საქებრათ;

სადილ-ვახშმის მზადებას პატივს სულ არა სცემენ:

მოართმევენ—შესჯავენ, თუ არა—ბიჭებს სცემენ;

სტუმრობა და ბალები არ გამოეპარებათ; იქ კორება შეიტყობენ და ეს აქვსთ ნეტარებათ!..

სულ რომ ბევრიც იჯავროს, ვინ გაუგონებს ქმარსა!

ულვაშებს შეურცხვენენ, ცხვირში ადენენ ძმარსა!

ეტყვიან: „გაქრა ის დრო, ძველ დროს ნულარ მოელი,

ჩვენ ქალბატონები ვართ, რათ გავისვაროთ ხელი?

ძვირფასად გამოგაწყვეთ, გინდ აიღეთ ვალები,

აბა რისთვის შევირთეთ? თქვენ დაგიღვათ ვალები!

ამ გვარად მათი ქმრები ვარდებიან ვალებში,

პოლოს, ყაზარ, კარაპეტ კი მათით მდიდრდებიან!..

სხვა ადგილას აკაკის კნეინა ასე სტირის:
—რად მინდოდა სითეთრე!

ვყოფილიყავ მოშავო?
და თქვენ-კი არ გამეცვენეთ შალომა და მოშავო!

იტიროს ჩემში ქმარმა, ბელღებმა და კალომა!..

ვაი რამდენს იცინებს ჩვენზედ მოშა... შალომა!..

ახლა მესამე კნეინა რას ამბობს?

გუშინ გვქონდა მოლხენა, დღეს რად მოგვიწყენია? რად ჩაგვევარდნია ენა?

ხომ არაფრის გრცხვენია?!
მიზეზი-კი ისაა, რომ „უფულობას არ სწუხდენ“, და „ვაჭრებს იპირებდნენ“, ნისიას ართმევდნენ და ვექსილებს უცვლიდნენ!

ვაჭარიც სიამოვნებით წვერზე ისვამს ხელს, ფულებს არ სთხოვს, ოღონდ ვექსილი გამოაცვლევიან და ფული ზედ-და-ზედ შესვას.

შედეგი ამისა? „მოწყენა და ენის ჩაგვარდნა“.
ფიფინაშვილი ნისიებზე მოდის, ხარაზოვი ჯავრობს ფულის დაგვიანებისათვის,

—და წვირილ-წვირილი ვაჭრები შემოდინ დას-დასად!

სირმები და ნაჭრები უჯდებათ ოხრის ფასად!

ცოლი ქმარს ებუტება,

ქმარი-კი ცოლს ემდურის;

ყველას გული უკვდება,

ყველა სიმწრის ოფლსა ჰღვრის!

გვონებ, განმარტება არ უნდა, თუ რამდენად სერიოზულია ეს საკითხი ჩვენ ნივთიერად დაქვეითებულ ქართველებისათვის და რომ აკაკისთანა პირში მთქმელი ბევრი დაგვებადებოდეს, შეიძლება ქართველის უთავბოლოობას მოელოს ბოლო!

ლექცია მკორე.

აკაკის მორალური ფილოსოფია ძლიერ სალი და მარტივია. როგორც საზოგადოდ მისი მთელი პოეზია, ეს ფილოსოფიაც რეალურს ცხოვრებასთან არის მჭიდროდ გადასკვნილი. მას საზოგადოდ არ უყვარს სულ აღმაფრენა და მიწაზე მცხოვრებთა ჭირ-ვარამისათვის ყურის ავლება. აკაკის აზრით კაცი რომ პირუტყვისაგან განირჩეოდეს, საჭიროა: მაღალი ზნეობა, სარწმუნოება და განათლებული გონება. ის ნატრობს, რომ „ყველას სამართლისაკენ ეჭიროს თვალი“, არც უფროსს და არც უმცროსს არ ებნეოდეს კვალი. მწყემსი იყოს კეთილი, რომ ცხვარი ტკბილად სძოვდეს და ბოროტი კეთილსა უწყალოდ სისხლს არ სწოვდეს. მართალს ამბობდეს ენა, სწორედ ისმენდეს ყური, რომ არ დასჩაგროს ტყვილად გარეშემ შინაური!

აგრეთვე საჭიროა განათლება, რომ კაცმა თავისი უფლება დაიცვას და „მოიხმაროს“. რომ ქვეყნის მომავალს ბედს არ სწყვეტდენ უმეცრები და მოედანზე იდგნენ ნამდვილი ბედაურები.

—კაცები კაცებს ჰგვანდნენ მამულიშვილობით და ქალები ძველ ქალებს გვანდნენ ზრდილობით.

ამის აარალია კულტურა, სალი გონება. მხოლოდ მაშინ გაარჩევს კაცი „საქვეყნო საქმეს“ „პირად ანგარიშიდამ“ და „მამულსაც მაშინ მოხდის სირცხვილს“.

თუ ასე შეგნებულა კაცი, მხოლოდ მაშინ შეუძლია თავგანწირული მუშაობა, „აღგზნებული გულით ჩაჰკიდოს ხელი საქმეს, რომ „ნაშრომს ბეჭედი დასდოს“. მხოლოდ მაშინ შეიძლება სხვების მიზიდვაც და მუშაკთა წრის გაფართოებაც.

ცხოვრების სარკე, აკაკის აზრით, ზნეობრივად ქრისტეა და ყოველმა ადამიანმა მას უნდა მიბაძოს, რომ „ცხოვრების კვალი არ გამრუდდეს. განსაცდელში „სამსონისებრივი, გამაგრებაა“ საჭირო, აგრეთვე „ბომონების“ დამხობა, ძმისთვის ფიქრი და სიკვდილი,

—მაშინ „შენსა ღვიწლს ჩანგზე დამღერს მგოსანი“ და „იმ ხმით“ სხვების „გულსაც ააძგერებს“.

—„იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი და მეცნიერი, ვითარცა გველი!

ურჩევს მგოსანი ქალადიდელს.

უამისოდო, კაცი ნახევარი არსებააო.

—„თუ უმანკოა მხოლოდ, ვით მტრედი, და აღარა აქვს სიბრძნე მას გველის, მაშინ მოელის საწყალს შავ-ბედი და ქვეყნად შეებას ნულა მოელის! ყველას მიენდობა ის მაშინ და „ისე გაზღლეჯენ, ვით მტრედსა ქორიო“.

თუ სიბრძნე აქვს კაცს და უმანკოება არა, მაშინ ის მყუდროთ ვერ იცხოვრებს, ცივი თავმოყვარეობა, ამპარტავენება შეიპყრობს მის არსებას, სხვას სულ ჰკბენს და გარეგნულად რომ ბედნიერ გეჩვენებთ, შიგნი გულში მაინც მოუსვენებარია.

—მაშ მხოლოდ ნეტარ არს იგი კაცი,

ვინც უმანკოა და მეცნიერი!

მისი სიცოცხლე არის ორკეცი, ის არის ქვეყნად სრულ ბედნიერი!

—ავიც და კარგიც მას ეყურება, თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს, მოძმეთ უმანკოო ემსახურება და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს!

მაგრამ, მოგესხნებათ, ცხოვრებაში გველიც ბევრია, მტრედი ცოტა, ხოლო გველის სიბრძნე და მტრედის უმანკოება ერთად შეზავებული-კი ძლიერ ნაკლებად, იშვიათად გვხვდება.

კაცი ხშირად კეთილია, მაგრამ ბრმა, ბრიყვი, ხშირადაც ბრძენია, მაგრამ სატანასავით ცივი და ბოროტი. ხოლო ბოროტი და კეთილი ჭიდაობაშია, რაც კი ქვეყანა არსებობს და აქედამ კი ის წარმოსდგება, რომ აკაკის აზრით ქვეყანაც „არეულია“, „ჭრელია“, „თვალმაქცია“, „ცვალებალია“, კაცის „მახე და ბაღა“, „დღევანდელის ღხენა-სიცილოსა ხვალ გადააქცევს ოხვრად“. კაცი მისი „მაჩანჩალაა“, „ქიანქველაა უსუსური“, „აღამის სისხლმა ცხოვრება არია“, „ჩვენს საქმესა და სიტყვას შუა ზღვარია“, (ზაგრატი თორნ. ერისთავში).

მთელი ცხოვრება ძალაზეა აშენებული, აკაკის აზრით.

—კაცობრიობის სინდისს აბა რა მოუტანია?

ადრინდელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიპლომატია!

უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა:

სრული უფლება ეძლევა სხვა და სხვა კონგრესებითა.

სჯულის ფიცარი გაფხიკეს, ზედ მცნებად აღარ სწერია,

და ისტორია ჩვენს დროში მექორე დაბერია!

ძალაა ქვეყნის დიდება!

ქეშმარიტება არს ძალა!

წესები ისევ ძველი, მხოლოდ გზა გამოიცვალა!

პირველად, როცა გამოუცდელი ვიყავ, ეს როდი ვიცოდით! ისე ბუნდად ვიხედებოდი, თითქოს სათვილები მქონდა თვალზე!

ამის მიზეზით,

— სადაც მივიხ-მოვიხედე,

მომეჩვენა ია-ვარდი.

და მოკრება რომ მინდოდა, შიგ კინკარ-ში გადავავარდი!

დავიშუშხე, მეგობარს სამკურნალოდ მიე-მაროე, მან წყლულზე ძმარი გადამასხაო, მე-რე საყვარელს მიემართე და ის უსიამოთ დამ-ხვდა, მე „ნაღველი გამელუსა“ და თვითონ სხვას გადახვია „ხელიო“; „მივაშურე ნათესავებს“, მაგრამ კარები ჩამიკეტეს და ძილი მოიგონესო, მსაჯულს მიემართე და საწყლად რომ მივედი, თვალი ამარიდაო. მას აქეთ სოფელს თავი და-ვანებე, ტყე-ტყე დავდივარ, სათვალეო იქით გადავადე და პირდაპირ რომ ვუტყვერ ვხლა, ძლიერ მიხარია, მაგრამ რა გამოვიდა მერე? უფრო და უფრო დავრწმუნდი, რომ ქვეყანა-ზე კაცი არ ყოფილა, კაცს ისევ მტეცი და პირუტყვი სჯობია: მაგალითად დათვი ზოგი-ერთს ნათესავს სჯობია, მოძღვრებს—მელა, საყვარელს — კატა და სხვა.

აქ ამ ნაირად კაბინეტში და სკოლის კედლებში შეწებილი გეგმები და აზრები მა-ლე დავმგრა ჩვენს მგოსანს. ვარდის ფერი იმე-დები შავ ფიქრებზე შეეცვალა და სიცილ-სიმ-ხიარულე—იქვევზე და მწუხარებებზე. მას თუ-რმე ამხანაგიც ჰყოლია ამ უბედობაში. იგი სწერს თავის ამხანაგს, ლორთქიფანიძეს;

— „საბრალო გულო დროა გამოსტქვა.

დღეს თავისუფლად შენი ტანჯვანი...

ხომ გახსოვს, ოდეს კაცს ანგელოზად

და სასუფეველად სოფელს სახავდი?

• ვინ დაგიბრუნოს ის ნეტარი დრო,

როს ცრუ ოცნებას შენ მონად ჰყავდი!

და აბა რას გრძნობ? თუ გიყვარს კაცი

და კიდევ მოგწონს ეს ცრუ სოფელი?

— ვგონებ, ვერ უძლებ, მგრძნობელი

ბულო,

კიდევ ემდური სოფლის ბრუნვასა!..

ანგელოზებად ვისაც ხახავდი,

ისინი, ხედავ, გესგრიან ქვასა!..

მეორე ლექსში „ახალგაზდა პოეტს“ ურ-ჩევს, „ხალხში სამართალს ტყვილად ნუ ელი“, „მართალი ურის „ფართალივით“ წამხდარა, თურმე ჩვენი ენა გვლუბავს ჩვენ და თუ ვისმეს უნდა შიმშილით არ მოკვდეს, ისევ ფარისე-ლობას მიჰყოს ხელი, დიდ კაცს წინ გაუგო-რდეს“ და „ზუ-გით ასწმინდოს მის ფეხთა მტვერი“!

ასე, რაც მეტს ეცნობა მგოსანი ცხოვრე-ბას, უფრო და უფრო უტყდება გული და სწამს, რომ ამდენს „სამკალა“ ერთი მუშაკი ვე-რას უქმს, უყვის გმირებს, მაგრამ ხმას არავინ სცემს. რაკი მარტოობას გოძნობს, გულიც უტყდება.

იკითხავს კაცი აკაკის სიტყვებით: „ჩვენი სიქადული მოწინავე ქართველთ რაზმი“ სად-ლა იყო? ნუთუ მარტო აკაკი იყო სწალიო ადქორვილი? იყო და ბევრიც იყო, მაგრამ მათს შორის დიდი უფსკრული გაჩენილა თა-ვიდანვე.

აკაკი ამბობს:

— უნებურათ იმათ რაზმში

ვითვლებოდი მე სხვა რადა,

თუ არ ვინმე „ცეტ-ბასილად“,

ხუმარად და მახარადა?

— მაოთლაც მათის შრომის დროსა

ბევრჯერ განზე მიძინია,

და ქვეყნისთვის რომ ტიროდენ,

აკაკურად მიცინია!..

და ამ გვარად გამოვტყდები,

მათ ნაშრომში არ მაქვს წილი!..

აბა როგორ მიეყოლოდი

დიდ მამლებსა მე-წიწილი?

მხოლოდ ჩემთვის ვწიაქობდი!

ახლაც მარტოდ ვიწიაქებ!..

მართალია, ძნელი არის

მარტოობა ამა სოფლად,

მაგრამ უღრისს ამხანაგსა,

მირჩევნია, დავრჩე ობლად.

ამ რიგად ისინიც მტრის ბანაკში მოემ-

წყვდენ, ვისგანაც მგოსანი თანაგრძნობასა და

შველას ელოდა. ასე რომ საზოგადოება ორ უთანასწორო წილად გაიყო: ერთი მხრით ბრბო და ნაძირალებია და მეორე მხრით ერთად ერთი „ობოლი“ მებრძოლი—მგოსანი!

მართალია, აკაკის აზრით, კიდევ არიან საზოგადოებაში სულიერნი, ადამიანის სახელს რომ ატარებენ, მაგრამ მგოსანს მათი არ ეშინია: იყონ „ნეტრალები“, ე. ი. სეირის მაცურებლები, მოწვეები ბრძოლის ველზედ. ისინი არც აქვთ არიან, არც იქით, არც ავი შეუძლიათ არც კარგი, ვინც გაიმარჯვებს და შეაშინებს, მათ გაჰყვებიან ცხვრებივით უკან. ესენი ცალიერი ქურები არიან, რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებენ, რადგან საკუთარი არც რწმენა აქვთ და არც გრძნობა.

მღვდელი მ. კვლენჯერიძე

(შემდეგი იქნება)

~~ქვისკობოსი კირიონის ტყუეობა კურიაჟის მონასტერში და მისი გამგზავრება ტაშბოვის გუბერნიის სანაქსარის მონასტერში.~~

გაზ. „დროების“ კორრესპონდენტი ასე გადმოგვცემს ეპ. კირიონის ყოფნას კურიაჟის მონასტერში და მის გამგზავრებას სანაქსარის მონასტრისაკენ.

კურიაჟის მონასტერში ეპ. კირიონის სადგომს შეადგენდა სამი ძირის ოთახი, რომელთაც ნესტისაგან კედლებიდან წყალი გადმოსდიოდათ. პენსია არა ჰქონდა დანიშნული და მონასტრის უბრალო ბერის ხარჯით კმაყოფილდებოდა. მიუხედავად ამნაირ გაქირვებულ ცხოვრებისა, კირიონ ეპისკოპოსი მაინც სულით არ ეცემოდა და მხოლოდ იმითღა ინუგეშებდა თავს, რომ ახლოს იყო საუნივერსიტეტო ქალაქზე და თავის ბიბლიოთეკას გარდა, რომელიც 5000 წიგნს შეიცავდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით ისარგებლებდა. აქ მან შეიღო თავის განმავლობაში განაგრძო და კიდევ

დაამთავრა თავისი ახალი თხზულება რუსულ ენაზე ამ სათაურით „Культурная роль Иверии в истории Руси“. აქვე გაიცნო რამდენიმე პროფესორი, რომელნიც ძალიან დააინტერესა თავის ახალ თხზულებით. პროფესორები აჩქარებდნენ, მალე გამოეცა ეს თხზულება.*)

ამნაირად გაატარა ეპ. კირიონმა სრული შვიდი თვე კურიაჟის მონასტერში, მხოლოდ მეტრე თვის დეკემბრის 10-ს, როგორც ვიცით, დეპ. პურიშკევიჩმა სახელმწიფო სათათბიროში საჯაროდ გამოაცხადა ცრუ ამბავი, ვითომ ეპ. კირიონი დასწრებოდეს მღვდელ ჩიჯავაძესთან მომხდარ კრებებს 22 თებერვალს და 18 მაისს და ვითომ ამ მოგონილ კრებებს მოჰყოლოდეს ექსარხოსის ნიკონის მკვლელობა და სხვა. არ გაგიკვირდება, მკითხველო, ამნაირი უცნაური ტყუალი! ჯერ ეს კრებების ამბავი ვისა სმენია და მერე ეპ. კირიონს რა უნდოდა ტფილისში 22 თებერვალს, როდესაც იგი მხოლოდ 9 მარტს გამოემშვიდობა თავის კოვენოს ეპარქიას და 18 მაისს კი, მე თვითონ მოწამე ვარ, კურიაჟის მონასტერში მწირველი იყო და კიდევ ვილაც აკურთხა ილუმენად! მაშ საიდან შეხანხლა ასეთი სიცრუე პურიშკევიჩმა?!

მაგრამ პურიშკევიჩის სიცრუემ მაინც გასტკბა და მისი სიტყვის სწორედ ორი კვირის შემდეგ, 26 ქრისტეშობისთვის, მოვიდა სინოდის ბრძანება, ეპ. კირიონი კურიაჟის მონასტრიდან ტაშბოვის ეპარქიის სანაქსარის მონასტერში გადასახლების შესახებ. რისთვის, რა მიზეზია, რომ ამ ცივ ზამთარში უფრო უარეს ცივ ყინვიან უდაბურ მონასტერში მისახლებენ, რომელსაც რკინის გზაც კი არ უდგება და 80 ვერსი ეტლით არის გასავლელიო, ჰკვირობდა კირიონი. კირიონმა გაუგზავნა სინოდს საპასუხო დეპეშა. სთხოვდა ნება მიეცათ პეტერბურგში მისვლისა, რომ გაეგო რაში იყო საქმე. ხელმეორედ მოვიდა დეპეშა: „სინოდს საჭიროდ მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავროთ სანაქსარის მონასტერში. პეტერბურგში

*) თხზულება მართლა საყურადღებოა საინტერესო გამოკვლევებით. გველები შემდეგში მალევე გაეცნო მკითხველებს

მისვლის ნება არ მოგცესთ“. ამ დებუშის მიღების მეორე დღესვე ჩააყენეს სტრაჟნიკი საყარაულოდ, ირგვლივაც ეტყობოდა, რომ პოლიცია თვალ-ყურს ადევნებდა ყველაფერს. ამან ცუდად იმოქმედა კირიონის გატეხილ ჯანზე და ძალიან დასუსტდა ლა თითქმის სასოწარკვეთილებასაც მისცა. სტუდენტების რჩევით, ხელმეორედ გაუგზავნა დებუშა სინოდს, სთხოვდა: „რადგან ამ ჟამად შეუძლოდა ვგრძნობ თავს, მაისამდე მაცალეთ დანიშნულ ადგილას წასვლა ან არა და რომელიმე სამხრეთის მონასტერში მომეცით ბინაო“. ამაზე უფრო მკაცრი პასუხი მოუვიდა: „ნაბრძანებია დაუყოვნებლივ წახვიდეთ დანიშნულ მონასტერშიო“. მეტი ჯანი არ იყო, დამორჩილდა ბედს და 10 იანვარს გაუდგა გზას. რადგან სუსტად ჰგრძნობდა თავს გავყვევი მეც მოსკოვამდის გასაცლებლად. ვამჩნევდი, რომ ყველგან, საცა კი წავიდოდით, უცხო პირები თვალს გვადევნებდნენ და კატორგელებსავით უკან დაგვდევდნენ.

მოსკოვში ვნახეთ პროფ. ხახანაშვილი რომელსაც ეპ. კირიონმა გააცნო თავისი ახალი ნაწარმოები. პროფ. ხახანაშვილი კდმც შეჰპირდა მის გამოცემას. ვინახულეთ აგრეთვე ცნობილი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც ძალიან სწულდა იმის უდანაშაულოდ დასჯას და სხვა და სხვა რჩევას აძლევდა. რაც დრო გადიოდა, კირიონი მით უფრო სუსტდებოდა, რისთვისაც 16 იანვარს, ნაშუადღევს პირველ საათზე იგი გოლიცინის საავადმყოფოში დაწვა. ჩვიდმეტ იანვარს საავადმყოფოში მისვლისათანავე შემატყობინეს, რომ ეპისკოპოსი წაიყვანესო. „ეინ, რად, სად?“ განცვიფრებულმა ზედი ზედ მივაყარე კითხვები მორიგ ექიმს, რომელმაც გადმომცა შემდეგი: „წუხელის, ღამის ორ საათზე, უნდოდათ წაეყვანათ ეპისკოპოსი პოლიციელებს, მაგრამ სამკურნალოს სამმართველომ არ შემოუშვა, ამიტომ დღეს, დილის 8 საათზე, მოვიდა ბოქაული თავის ამალით და შეეკითხა ექიმს: შეუძლიან თუ არა ეპისკოპოსს მგზავრობაო. ამაზე ექიმმა მიუგო, თუმცა ძალიან სუსტად არის, მაგრამ იქნებ შესძლოს მგზავრობაო“. ამის შემდეგ ბოქაულმა უბრძანა ეპისკოპოსს, საჩქაროდ ჩაიციო

ტანისამოსი და ჩემთან ერთად წამოდითო. ჩასვეს კარეტაში და სად წაიყვანეს და რისთვის, ჩვენ თვითონაც არ ვიცითო“.

ჯერ პროფ. ხახანაშვილს შევატყობინე ეს ამბავი და შემდეგ ნ. ნ. დურნოვოს, რომელიც მაშინვე გაექანა ამბის გასაგებად. პატარა ხანს უკან გავიგეთ, რომ სამკურნალოდან კირიონი პირდაპირ სადგურზე წაეყვანათ და ორი დარაჯით გაესტუმრებინათ სანაქსარის მონასტერში.

მესამე დღეს ხელმეორედ მივედი ნ. ნ. დურნოვოსთან მოხუცი თითქმის სტიროდა ეპ. კირიონის ამნაირ სასტიკ მოპყრობის გამო, ამტყუნებდა ქართველ საზოგადოებას, რომ იგი არა ზრუნავს და რამე საშუალებას არა ხმარობს მის დასახსნელადო. საქიროა, ამბობდა ნ. ნ. დურნოვო, რომ ყველა ქართველი ეპისკოპოსები შეეკითხნენ უმაღლეს მთავრობას, რადა სჯიან ასე სასტიკად ეპ. კირიონს და ან როდის მოელება ბოლო მის დევნასო. აქვე გადმომცა, რომ დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის ინსპექტორის თანაშემწეს ბოგოაუ-ლენსკის ელაპარაკნა ვოსტარგოვთან კირიონის უსაფუძვლო დევნაზე, და ვოსტარგოვს პასუხად უთქვამს: „Я его утоплю и всю Грузию кровью залью“. ამაზე მოსკოვის გაზეთის რომელიღაც თანამშრომელს ბ-ნ ბალაშოვს, რომელიც იმ დროს იქა ყოფილა ეთქვა: „ეპ. კირიონმა ამ სიტყვებზე უჩივლოს ვოსტარგოვს და მე მოწმედ დამნიშნოსო“.

ამის შემდეგ, უკან დაბრუნებისას კურსკის სადგურზე, თანდარბემა მეც დამიკირეს, აქ პოლიციის მოხელემ ჩამომითვალა ჩვენი მგზავრობა და თან მუქარით მკითხა—სთქვი, სადა და სად იყავით, თორემ დაგიქერთო. სულ ერთია ჩვენ ყველაფერი ვიცითო“. თუ იცით, მიუგე მე, მაშ რადა საქიროა ჩემი თქმა მეთქი. ჩვენება ჩამომართვეს და ბოლოს, როგორც იყო, გაშიშვეს.

ასე და ამნაირად დაბოლოვდა ეპ. კირიონის მგზავრობა.



კვირიდან კვირობამდე.

სამღვდელთაბის კომისიის დადგენილება. როგორც გავიგეთ, სამღვდელთაბის რწმუნებულთა ამორჩეულ კომისიის შესახებ სასულიერო სასწავლებელთა შენახვისა დაუდგენია სამ ნახევარი პროცენტი გადასდოს სახელმწიფო ჯამაგირიდან ხსენებულ სასწავლებლების შესანახად და მასვე დაემატოს სანთლის დუქნის წინდა მოგება. ეს დადგენილება ადგილობრივ სასულიერო მთავრობას შეუფერებლად უცვნია და ხელმეორედ დაუნიშნავს კომისიის კრება. როგორც ამბობენ, კომისიის დადგენილების დამტკიცებამდის არცკრედიტი გაიხსნება. კრება უნდა მოხდეს მარტში.

შეკითხვა. 13 თებერვალს თავდა-აზნაურთა კრება ყოფილა ქ. ტფილისში რომლის დასასრულს ერთი წევრთაკანი თავმჯდომარეს შეკითხვია: ნუ თუ თავად აზნაურობა არაფერს აპირებს ეპ. კირიონის და არქ. ამბროსის დასჯის მიზეზების გასაგებადო? თავმჯდომარეს უპასუხნია, რომ ჯერ ამის მსგავსი არაფერი შემოსულა, ხოლო თუ თავად აზნაურობა ისურვებს, შემძლია მოვახსენო სადაც ჯერ არსო.

ამ კრებაზე ამით დათივებულა ეს საკითხი და ვნახოთ როგორ მოიქცევა თავად აზნაურობა შემდეგ.....

უწ. სინოდთან არსებული სამოსწავლებო საბჭო ამ წლის 30 იანვრიდან, № 88 იუწყება, რომ რუსეთის იმპერიაში 1+13 პირველ დაწყებითი სკოლა უკვე შეუტანიათ სასკოლო ბაღეში. განათლების მინისტრს სათათბიროში შეუტანია პროექტი შესახებ უფასოთ სწავლებისა და სახაზინო ჯამაგირების დანიშნვისა სკოლებში. სინოდს დაუდგენია და ობერ-პროკურორს დაუმტკიცებია, რომ იმ სკოლებს, რომლებიც მოპყვნენ ხსენებულ ბაღეში, ანუ აწი მოპყვებიან, დაენიშნება სახაზინო ჯამაგირები და უნდა ეწოდოს „საეკლესიო საქრელო“ სკოლებიო.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

გამოვიდა და იყიდება სასულმძღვანელო სამღვთო სჯულისა „ძველი აღთქმა“—დევ. ნ. უუბანეიშვილისა **შასი 50 კ.**

გამოვიდა და იყიდება ავტორთან „მინაური საქმეების“ რედაქციამი

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი მოკლე საეკლესიო ისტორია დევ 3. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60 კ.**, ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე იყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **0.60 შაური.**

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერძისა: თეორია სიტუაციებისა — ძეგლ დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატიის — მისივე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვარცხელიანთან და ე. ბუენეიშვილთან, თბილისში წერეთლის საზოგადოებაში.